საქართველოს მუდმივი
წარმომადგენლობა გაერთიანებული
ერების ორგანიზაციასთან

PERMANENT MISSION OF GEORGIA
TO THE UNITED NATIONS

55056-19-3-201712010203

№ 55056-19
01/12/2017

საქართველოს ვიცე პრემიერს, საგარეო საქმეთა
მინისტრს, ბატონ **მიხეილ ჯანელიძეს**

ასლი: საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს,
ბატონ **დავით ზალკალიანს**

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორს, ქალბატონ **თეა მაისურაძეს**

საკონსულო დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ **გია ტაბატაძეს**

ბატონო მიხეილ,

გაცნობებთ, რომ მ.წ 27 ნოემბერს გაეროს დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების პანელის „ყოველი ქალისა და ყოველი ბავშვისათვის“ (Independent Accountability Panel – Every Women, Every Child, IAP) სამდივნომ გამოაცხადა 2018 წლის გლობალურ ანგარიშში შესატანად მტკიცებულებების წარდგენა, თემაზე: კერძო სექტორის ანგარიშვალდებულება ქალის, ბავშვის და მოზარდის ჯანმრთელობაზე (Call for Evidence for the 2018 IAP Report). წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შერჩეული ქვეყნების მიერ წარდგენილი წარმატებული გამოცდილება, შესაძლოა გახდეს 2018 წლის გლობალური ანგარიშის შემადგენელი ნაწილი. მტკიცებულების წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 27 იანვარი, ხოლო დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე www.iapewec.org/news/call.

საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მისიამ კონსულტაცია გამართა აღნიშნული პანელის წევრთან, დოქტორ გიორგი ფხაკაძესთან, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა რეკომენდაცია გაგვიწიოს აღნიშნულ თემატიკაზე მტკიცებულების მომზადების პროცესში.

27 სექტემბრის N43754-19 წერილზე, რომელიც ეხებოდა IAP-ის წევრების შესაძლო ვიზიტს საქართველოში, დამატებით გაცნობეთ, რომ ჯგუფი საქართველოს ეწვევა 2018 წლის 5-8 თებერვალს.

გ. ფხაკაძე გვთავაზობს IAP-ს წევრების საქართველოში სტუმრობამდე, კერძოდ იანვარში, გამართოს 2017 წლის IAP გლობალური ანგარიშის პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენლები როგორც საქართველოს სამთავრობო, ისე არასამთავრობო უწყებებიდან.

One United Nations Plaza, 26th floor, New York, NY 10017, USA
ტელ./Tel: +1 (212) 759-1949; ფაქსი/Fax: +1 (212) 759-1832; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.un@mfa.gov.ge

ანალოგიური ღონისძიება გ. ფხაკაძემ მიმდინარე წლის სექტემბერში იორდანიასთან, რომლის მთავარი მასპინძლებიც იორდანიის სოციალური განვითარებისა და ჯანდაცვის მინისტრები იყვნენ. იანვარში დაგეგმილი პრეზენტაციის მიზანი 2017 წლის ანგარიშის შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება და სირთულეების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის მოძიება იქნება. ღონისძიების ფარგლებში მიზანშეწონილია, რომ საქართველოს შესაბამისმა უწყებამ ასევე გააკეთოს პრეზენტაცია ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ეროვნული გამოცდილების შესახებ. ეს პროცესი შეიძლება იყოს წინაპირობა საქართველოს მიერ შესაბამისი საერთაშორისო ფონდების მხრიდან დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოპოვებისთვის.

გ. ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ასევე ის გეგმავს ლობირება გაუწიოს 2018 წლის გლობალურ ანგარიშში საქართველოში განხორციელებული ისეთი წარმატებული პროექტების შეტანას, როგორებიცაა ც ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა და სოლიდარობის ფონდი.

ხსენებული გეგმების წარმატებით განხორციელებისთვის გ. ფხაკაძემ თხოვნით მოგვმართა შუამდგომლობა გავუწიოთ საგარეო საქმეთა და, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან, ისევე როგორც ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. აღინიშნა, რომ მას უკვე ჰქონდა წინასწარი კომუნიკაცია ჯანდაცვის მინისტრთან დავით სერგეენკოსთან, პარლამენტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა თავმჯდომარესთან კაკი ზოიძესთან და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან მარიამ ჯაშთან და რეკომენდებულია გაგრძელდეს მათთან კოორდინირებული მუშაობა.

ასევე დოქტორმა ფხაკაძემ გვთხოვა დახმარება 5-8 თებერვლის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად IAP პანელის ზოგიერთი წევრის ან/და წევრის მეუღლისთვის ვიზის მიღების პროცესში. დეტალური ინფორმაციას მოგაწვდით დამატებით.

გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს აღნიშნული წერილი მიაწოდოს შესაბამის უწყებებს სწრაფი რეაგირებისათვის.

პატივისცემით,

პატივისცემით,
ელენე აგლაძე

საქმეთა დროებითი რწმუნებული